

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე
მკვლავრებთანთვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дროбиа»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონზე-
ბისა ითვლება მათგან დაჭერილის დაჭერის შემდეგ
ლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდავლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ цент., конторѣ
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ცაღვე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპიკა.

ბამონის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთსა

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს-
ტომაშვილთან; გორში — აბაღლო თუთავეთან.

წლით ხელის-მოწერა ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ. თბილ-
ისის პირველი წლის დასაწყისამდე გაზეთის ფასი 8 მან. და 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით
ოთხი მანათი. დაწვრილებათ პირობები გაზეთის სათაურშია.

უმორჩილესად ვსთხოვ თავად-აზ-
ნაურობას თბილისის გუბერნიისა-
სა, მობრძანდენ ამ თებერვლის
17-ს 11 საათზედ დილით განსა-
კუთრებულს თბილისის გუბერნიის
თავად-აზნაურობის კრებაზედ, იმ
საგნის განსახილველად: თუ რა გვა-
რად უნდა ვიდგესასწაულოთ ასის
წლის შემსრულებამ იმ დროიდან,
რა დღესაც იმპერატრიცა კაპიტანი-
ნი მამოკამ უბოძა ზრამობა რე-
სეთის თავად-აზნაურობასა.

გუბერნიის თავად-აზნაურობის
კრება შესდგება ჩემს სადგურში,
მიხეილოვის ქუჩაზედ, ზარაფოვი-
სეუდ სახლებში.

თბილისის გუბერნიის კეთილ-
შობილთ წინამძღოლი გენერალ-
მაიორი

(3—1) თ-დი ღვათ სუმბათოვი

ერთი კვირა უსხოვთში

თბილისი, თებერვლის 9-ს

ბორღონის სიკვდილის ამბავი გლო-
ვის ზარსავით გაისმა მთელის დედა-
მიწის ზურგზედ. ამ საოცარს კაცს,
რომელსაც მომხიბლველი ძალა ჰქონ-
და სხვა-და-სხვა გვარის ხალხის გულის
მოსაგებად და რომელსაც თითქმის
ზღაპარა-სიტყვაობითი ბედი სდევდა
თან მრავალ გვარ ბრძოლასა და არეუ-
ლობაში, — ამ კაცს ერთნაირად იც-
ნობდა როგორც მეროპა, ისე აზია,
ნამეტნავედ აზია, რომელმაც სხვათა
შორის თავის სიყვარული იმით დაუმტ-
კიცა, რომ გენერალი ბორღონი
„ბორღონ-ფაშად“ გადაქცია.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ კა-
ცის სიკვდილი ძნელს ყოფაში ჩააყ-
ნებდა ინგლისის მთავრობასა და ეს მო-
ლოდინი მალე გაპართლდა: პარლამენტ-
ში აღუძრავთ კიდევ ლაპარაკი, რომ
ენლანდელ სამინისტროს ინგლისისას
გარეშე პოლიტიკაში უნდაბლობა გა-
მოუცხადონ და სამინისტროსაც, რო-
გორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს,
სრულიად გზა და კვალი დაბნევა.
თუ არ გზა და კვალის დაბნევი-
თ, მაშ რითი აიხსნება ის, რომ ინგლი-

სის მთავრობას მხოლოდ ცხლა მიუ-
მართავს იმ საშუალებებისათვის, რა-
მელსაც დიდი ხანია ურჩევდენ საუკე-
თესო მეომარნი და სულანის დწვი-
ლებით მკოდნენი. იმის მაგიერად,
რომ წინ-და-წინვე მეწამულის ზღვის
ნაპირიდან (სუაკიმიდან) ნილოსზედ
მდებარე ბერბერამდე რკინის გზა გაეყ-
ვანა და აქედამ სიმარჯვით ემოქმედნა;
იმის მაგიერად, რომ შემოხსენებული
ბერბერი გავხდა თავის საოპერაციო
ბაზისად და იქიდან ნილოსით საჩ-
ქაროდ მიშველებოდა ბედქრულს ხარ-
თუმს და მასში მომწყვედულს ბორ-
ღონს, — მან მონახა სხვა, ბევრად უფ-
რო შორეული გზა აჭრიკის უდაბ-
ნოებით, რომელიც სრულიად არ შეე-
ფერებოდა ინგლისელების ზღვის-მოყ-
ვარულ ბუნებას და რომდენიმე თვე,
აუარებელი წვადების შემდეგ, ძლიერ
მიაღწია ხართუმის სიახლოემდე. მაგ-
რამ გვიანლა იყო: ინგლისელებმა თა-
ვიანთ ნელის მოქმედებით დრო მის-
ცეს მაჰდის ძალის შემოკრებისა და
აი, როცა ინგლისის ჯარი მიუახლოე-
და ხართუმს და წინა-მორბედად ვაგ-
ზანა პოლკოვნიკი შილსონი ხართუ-
მის ამბის შესატყობად, შილსონს
თვალწინ წარმოუდგა მინგრეულ-მონგ-
რეული დედა-ქალაქი სულანისა და
აუარებელი მტერი გარს-შემოხვეული.
ამ სამწუხარო სურათს ზედ დაერთო
ბორღონის სიკვდილის ამბავიც; თვით
შილსონმა ძლიერ დააღწია თავი
არაბების ურჩივებს ტყვიებს, რომელ-
ნიც ზუზუნით მოსდევდენ მას საჩქა-
როდ უკან დაბრუნების შემდეგ და,
თუ გზაზედ ერთი თავშესაფარი კუნ-
ძული არ შეხვედროდა, იქნება ინგ-
ლისელების ბანაკში მოამბეც ველარ
მოსულიყო ამ ექსპედიციიდან.

ბორღონის კვალს გაუდგა მეორე
გენერალი მარლიც. იგიც მსხვერპლად
შეიწირა სულანის ომში, თუმცა ინგ-
ლისელები იმით ნუგეშობენ, რომ
მართალია გენერალი მოგვიკლეს, მაგ-
რამ გამარჯვება ჩვენ დაგერჩა და მტე-
რიც ურდავი დაგვოცეთო. არ ვიცით,
რამდენად მართალია ინგლისელების

ცნობა შესახებ იმისა, რომ ჩვენ ორი
ინ ხუთი კაცი მოგვიკლდა და მტერს
კი აბი ამოდენაო, მაგრამ, თუნდ
მართალიც იყოს, მაინც ეს სანუგე-
შოდ არ უნდა მიანდეთ ინგლისე-
ლებს. უკანასკნელთ თითო მეომარის
გაგზაფრა სულანში რამდენიმე ათასი
გორვანქა სტერლინგი უღირთ და სუ-
დანელები კი თავიანთ ცის ქვეშ არიან
და არაფრად უჩანთ თუნდ მთელი
რაზმის გაწყვეტა.

რას აპირობს ინგლისის მთავრობა
ამისთანა კრიტიკულ მდგომარეობაში?
როგორც წინანაცა ესთქვით, იგი უბ-
რუნდება იმ საშუალებას, რომელსაც
მას დიდო ხანია ურჩევდენ, ესე იგი
სუაკიმიდან ბერბერამდე რკინის გზის
გაყვანას. ამასთანავე სამინისტროს გა-
დაუწყვეტია, არაერთარი საშუალება
არ დაზოგოს აჯანყებულების დასა-
მშვიდებლად და ამისათვის განკარგუ-
ლებაც მიუტია, რომ ჯარები შეგრო-
ვილ იქმნენ სულანში როგორც ინგ-
ლისიდან, ისე ინდოეთიდან.

რასაკვირველია, თუ ინგლისელების
ჩვეულებრივმა ენერჯამ თავი კარგად
ინინა — მაჰდის გაუჭირდება მასთან
ბრძოლა, თუმცა ამ უკანასკნელსაც
არა ნაკლები ენერჯა გამოუჩინია ამ
ბოლოს დროს და როგორც გუშინ-
დელი ტელეგრაშიდან სჩანს, 50,000
კაცი და ზარბაზნებით წამოსულა
ინგლისელების ბანაკისკენ.

ზარეულ მტერთან ერთად არა ნაკ-
ლებ აწუხებს ინგლისის სამინისტროს
შინაური მტერი, რომელიც დინამი-
ტით იბრძვის. თითქმის კვირა არ გა-
ვა, რომ რომელიმე სახელმწიფო შე-
ნობა არ აფეთქან მედინამიტით. შემ-
დეგ პარლამენტის შენობათა და ტო-
ურის აფეთქებისა, ბორღონ-მომქმედთ
განუზრანავთ აფეთქება ბრიტანიის მუ-
ზეუმისა, რომელიც საუკეთესო განს
შეადგენს ქვეყნიერების მეცნიერებისა-
თვის და ლივერპულის ვოგზალისა,
სადაც ყოველ ჟამს აუარებელი ხალ-
ხი ტრიალებს. მაგრამ ლონდონის
პოლიცია ისე გაუძლიერებიათ ამ უკა-
ნასკნელ ხანს, რომ მის აგენტებს
ყოველგან თურმე თვალ-ყური უჭი-
რავთ და ამ შემთხვევაშიაც თავიანთ
სიფხიზლით გაუუქმებიათ მედინამიტე-
თა განზრახულება.

ამ გაჭირებულს დროს ინგლისმა
იმოვა მხოლოდ ერთად ერთი მოკავ-
შირე, რომელიც აპირობს მასთან
ერთად წილის ჩადებას მეწამულის
ზღვის ნაპირებზედ. ეს მოკავშირე არ
იტალია და უკანასკნელ ხანს მას და-
უპყრია ამ ზღვის ნაპირას მდებარე

ნავთსადგური მასოვა. ეს კავშირი
ინგლისისა და იტალიის შორის წარ-
მოადგენს ერთს იმ კავშირთაგანს,
რომელიც ნადავლის აღების დროს
შეიცვრის ხოლმე და გაყოფის შემდეგ
კი ფიცხლავ ირღვევა. რადგან იტა-
ლიასა სწადიან ხმელთა-შუა ზღვისა
და მეწამულ ზღვის ნაპირებდ დაკვი-
დრება, იმიტამ ეძებს იგი ინგლისთან
კავშირის შეცვრას; მაგრამ საქმე რომ
ჩინეთის ზღვებში ჰქონოდა, იქნება
მაშინ ჭრანტუზების მეგობრობა უფ-
რო ძვირად დაეფასებინა ინგლისელებს
მეგობრობაზედ.

როგორი უსისტემობაც ეტყობათ
ინგლისელებს სულანში, ისეთივე უსის-
ტემობა დაანდათ ჭრანტუზებსაც ჩი-
ნეთის არე-მარეში. ჭრანტუზები თითქო
მარჯვედ მოქმედებენ. სამხრეთით
ჩინეთის სამზღვარს უახლოვდებიან,
მთელი ტონკინი ლამის ხელში მოიგ-
დონ, სონტაიც აიღეს, ბაკინიც, ლან-
გსონიცა და ლანგსონიც; ჩინელების
ხომალდებსაც მატროსებითა და ზარ-
ბაზნებით დატვირთულებს, უწყალოდ
ლუბავენ ზღვაში, მაგრამ რა შედეგი
ექნება ამდენს უსარგებლო სისხლის-
ღვრას, ეს ძნელი გამოსარკვევია არა
თუ უცხოებისათვის, თვით საფრან-
გეთის მთავრობისათვისაც. როგორც
ეტყობა, ამ მთავრობას მადა თანდა-
თან უფრო ეხსნება და ჯერ თუ ერ-
თის ქალაქის დაჭერას სთელიდა თა-
ვის საბოლოო საგნად და ომის და-
სასრულის ნიშნად, ცხლა ოთხისა და
ხუთის დაჭერასაც არა სჯერდება. მაგ-
რამ, ვაი თუ საფრანგეთის მთავრობაც
იმავე მდგომარეობაში ჩავარდეს, რო-
გორშიაც ცხლა მლადსტონის სამინის-
ტროა, რომელმაც არ იცის, რომელს
ერთს მტერს გაუძღვეს, რომელს ერთს
ვასცეს პასუხი.

რეისტაგმა ბერმანიში შესატან
ხორბალს ბაჟი მოუმატა და მოუმატა
არა მცირედ, არამედ ერთი სამად
აქცია იგი. ამბობენ ეს ბაჟი იმ აზ-
რით არის მიღებულიო, რომ ბერმა-
ნიის მეურნეობას ხელი შეეწყოს და
ბერმანიის ხალხმა ბერმანიისივე მო-
ყვანილი პური სჭამოს და არა სხვაგ-
ნიდან შემოტანილიო. მაგრამ ბორღ-
ონი ენები სხვას ამტკიცებენ და, არ
ვიციოთ, დასაჯერია ამ ბორღონი ენე-
ბის ნათქვამი თუ არა: ეს იმი-
ტომ მოიქმედა ბისმარკმაო, ამბობენ
ისინი, რომ ერთ ერთს ბერმანიის
მოსამზღვრე სახელმწიფოს ეკონო-
მიური მენი მაინც დასცეს, რადგან
აქამდის არა ჰქონია შემთხვევა ბრძო-
ლის ველზედ მისი გამოცდისაო. ზოგს
არა სჯერა ესა, მაგრამ რომ ბორღო-

ტი ენები სრულიად არა სტყუიან, ამას ამტკიცებს თუნდ ის, რომ ხორბლის მოვაჭრეები რუსეთში გაცხარებულინი აზურებენ მთელის იმ ხორბლის გაზიდვას, რომელიც კი მათ მოგროვებული ჰქონდათ რეინსტავისაგან მიღებული კანონის ძალაში შესვლამდე; და აზურებენ ამას ალბად იმიტომ, რომ მასუკან ხელი აღარ მოჰკიდონ ხორბალს, რომელსაც უმთავრესი გასავალი კარნი დახმობილი ექნება.

შინაური პრონია

== თბილისის ოლქის სასამართლოში გუშინ დაიწყო გარჩევა თ. შლადიმირ სუმბათაშვილისა და გენერალ ლეიტენანტის თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის საქმისა. მოგვხსენებთ, შარშან აპრილის 4-ს პირველმა რევოლუციური ესროლა ექსპერტ ზედი-ზედ მეორეს დამდენივე ალბას დასკრა. ბრალდებულს იცავს ბ-ნი თხორაყვესკი, პოეტი — მთარგმნელი, და სამოქალაქო მედიცინის ინტერესს კი — ნათიცი ვეტილი პლიუშჩევსკი.

მრცელს ანგარიშს ამ საქმეზე შემდეგ ნომრებში წაიკითხვენ მკითხველნი.

== ამაღლებებელ ამაგეს გვატკობინებენ ახალციხიდან: „შოცხოვის მეტყვევს ბ-ნს ა—ჩს მოუნდომია ამ ყველიერში დათვზე ნადირობა. შინადლით ებძინებინა თავის ტყის-მცველებსათვის, რომ თავიანთ საყარაულოში მოეძებნათ დათვის სორო და ყველანი გაეგზავნა საძებნელად. მეორე დღისთვის გაემართა კაი სადილი, რომ სადილის შემდეგ წაბძინებულიყო თავის სეიტით და ენადირა. მრცელს ტყის-მცველთაგანს ენახა დათვი სოროში მწოლარე. საცოდავი ტყის-მცველი გათქნებადის ყარაულობდა თურმე მალევეთ ყინვაში, რომ დათვი არსად წასვლოდა და იმედგულობდა მეორე დღეს ბ-ნს ა—ჩს ასიამოვნებდა და დიდს მადლობასაც მიიღებდა თავის უფროსისაგან. მაგრამ, დახეთ საბრალოს ბედს: როდესაც განარებული მეორე დღეს მიეგება ა—ჩის სეიტას და მიუძღვა იმ ადგილს, სადაც სორო იყო, დათვი დაინახა თუ არა თავისზე მიმავალი ლაშარი, გამოვარდა და სისწრაფით გაიქცა აპარისაკენ. ა—ჩს ეს არ ესიამოვნა, მიუბრუნდა ტყის მცველს და დაუწყო ყვირილი: „Дашь медведя! ტყის-მცველმა მიუთითა გაქცეულ დათვზე და მოახსენა: „Ваша-ривъ, унъ жалъ.“ ა—ჩი მისდგამცველს და დაუწყო საშინლად მათრახის ცემა. ბამწარებულმა ტყის-მცველმა ველარ მოითმინა და უთხრა: ჯიბეში ხომ არ მიჯდა, რა მექნა, რომ გაიქცაო. ამ თქმამზე შეზარხო შებუღმა ბ-ნმა ა—ჩმა უარესად მოუხშირა მათრახის ცემა და იქნობამდის არ მოეშვა, ვიდრე მათრახის წვერმა საცოდავს თვალის კაკალი არ გადმოუბრუნა.

== ბურიილამ გვატკობინებენ: აქაც

ყვავილი გაჩნდა; მომეტებული ზარალი მოგვცა ასეანლებს ასკანაში, რომელიც ოზურგეთის მაზრას ეკუთვნის, ყვავილისაგან დღეში ხუთიდან ათამდე კვდება და არავითარი საშუალება არც მამასახლისმა მოგვცა და არც ადგილობრივმა მოხელეობამ. მამასახლისის ესთხოვეთ, რაპორტი გაეგზავნა ოზურგეთის მაზრის უფროსთან, რომ რაიმე შეეღა მოგვეცემოდა, მაგრამ ჩვენს თხოვნას უუარაღლება არ მიაქცია; ბოლოს, როდესაც ნამეტნავად ფეხი მოიკიდა ყვავილმა, მამასახლისის განკარგულებით მოვიდა ვილაც ამცრელი, რომელსაც არც ჩირქი ჰქონდა და არც ნეშტარი უვარგოდა. თუმცა ზოგიერთ ბავშვებს კი აუტრა, მაგრამ არავითარი კვალი არ დაურჩინა ატრისა და ამცრელი კი მაშინვე დაბრუნდა ოზურგეთში. მხლა ვითხოვეთ, თუ კი რამ გაეწოება, დაგვიფარონ ამისთანა მოვლენისაგან, რადგანაც ყვავილმა მკვიდრად დაიბუღა და უწყალოდ ჰხოცავს ხალხს.

== „კაკასის“ ნამდვილად შეუტყობა, რომ თბილისის რუსულ თეატრის ანტრეპრენორი ბ.ტ. ფითოკვი წასულა მოსკოვს და შეტყობუტს, რათა მოახტყოს მოსკოვის საგზაფხულა და საზამთრა სეზონისთვის რეპრისა და დრამის ანტრისტები.

== თბილისის ოლქის სასამართლოს წინდგინებებისამებრ, იუსტიციის მინისტრმა მიანდო ამავე სასამართლოს თავის-მჯდომარეს გ. გ. სმიტკის საქმეთა წინმძღების რევიზია თბილისის მეორე და მესამე მომჩიებელი სასამართლოების განყოფილებას და კიდევ შემდეგი მაზრების სასამართლოებს: თბილისისა, სიღნაღისა და თელავისა, და აგრეთვე სურამისა და გოდალეს მომჩიებელ სასამართლოების განყოფილებათა. როგორც შეეიტყეთა, ამბობს გაზეთი „კაკასი“, ბ. სმიტკი მოკლე ხანში შეუდგება ამ მინდობილების აღსრულებას.

== ინგლისელს ბეკეტონ რედუფსს, რომელსაც შეუსწავლია ჩრდილო-ამერიკის ნავთის წყაროები, შარშან შემდეგამაზე დაუთვალეობა აგრეთვე ყარაბისა, ამიერ კავკასიის და ამიერ-კასპიის მხრის ნავთის წყაროები. წყეულს ახვრის 21 (თებერვლის 2) რედუფსს წაუგითხვას სპანრა ლეტობა, რომლის საგნად აუღია ნავთის ძახსენებულა წყაროები. რედუფსის აზრით ბაქს ნავთის წყაროები იმდენს ნავთს იმდევან, რომ საკმაო მთელი ქვეყნისთვის და გარდა ამისა ამ ნავთიდან რჩება წასასმელი ზეთი (ზეითუნი ზეთით) რომელიც ბევრით სჯობის ამერიკულ ნავთისას. განსაკუთრებითი ყურადღება რედუფსს მიუქცევია „ნავთის ნაშთებზე“, რომელნიც საუკეთესო საწყავს მასალას წარმოადგენენ და ბევრით სჯობიან ქვა-ნახშირს. გარდა საწყავს მასალისა ეს ნაშთი იმდევან აგრეთვე ბენზოლს, ანტრაცენს და

ნაქტალინს, რომელთაც დიდი მომავალი მოკლის ადებ-მიტყობაშია. („ნავ. ობოზ.“)

„დროშის“ კორასონდენსიები.

რაშის მაზრა, თებერვლის 1-ს. მართი უმთავრესი პირობა იმ ალაგისა, სადაც არსებობს, ანუ აარსებენ სამსაჯულო თუ აღმინისტრაციულ დაწესებულებათა, ის არის, რომ იგი უნდა იყოს შუა-გული, ცენტრი, იმ მხარესი რომლისათვისაც აარსებენ. სასამართლოები ერის საერთო კუთვნილება უნდა იყოს; სამართლის წინაშე ყველა ერთია, მიუხედევლად ღირსებისა და წოდებისა; კერძო პიროვნულ მხარეებს, სიდიდეს ანუ სიპატარავს, სიმდიდრეს ანუ სიღარიბეს და ჩემიან-მენიანობას არასოდეს არ უნდა ჰქონდეს ადგილი დათმობილი: მის მოპოებისათვის ყველას თანასწორი უფლება და ღონისძიება უნდა ჰქონდეს მინიჭებული. მს ყველამ კარგად უნდა იცოდეს ეხლანდელს დროში, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამ უბრალო და ყოველად მარტივი კენჭმარტების ცოდნას და განხორციელების სურვილსაც ვერა ეხედავთ. ჩვენში სასამართლოები, ხშირად იმ მიზეზით რომ უბრალო მის დანიშნულებას არავენ უფლებს ყურს, ჰყარავენ თავიანთ აზრს, სწორე გზას ვერ აღვანან. ჩვენი სასამართლოებით ერი თანასწორად ვერ სარგებლობს: ერთმა რომ იფვად მოიბოვოს სამართალი — ასმა და ათასმა სისხლის ოფლი უნდა უმსხვერპლოს. მართმა რომ ორი მანათი შესწიროს სამართლის ძიებას, ასმა და ათასმა ან ტყავი უნდა გაიბროს, ან თავი უნდა დაანებოს საქმის წარმოებას. მართმა რომ ერთი ორი ვერსტი გაიაროს სასამართლოს კარებამდის, ათასმა ორმოცსამოცი ვერსი უნდა ირბინოს და სხვა-და-სხვა. ამ ნაირი სხვა და სხვაობა, უთანასწორობა სამართლის მეძიებელთა შორის თითქმის საერთო სენად არის მოფენილი ჩვენში, მაგრამ რაჭის მაზრაში კი ერთობ გადაჭარბებულია. აქ სასამართლოები მაზრის განაკიდე კუთხეში არიან დაბინავებულინი, რომლის გამო აკმაყოფილებენ მხოლოდ უმცირესი ნაწილის მოთხოვნილებათა. შმრავლესი ნაწილი საზოგადოებისა კი მოკლებულია იაფად სამართლის მოპოების ღონისძიებას. ძარგი ხანია მას შემდეგ, რაც ეს გარემოება საქმაოდ აწუხებს უმეტეს ნაწილს რაჭის საზოგადოებისას, რომლის გამოც რამდენიმე-გზის თხოვნაც იყო შეტანილი, საცა ჯერ არს ქვემო რაჭელებისაგან, რომ სასამართლოს რეზიდენციები გადმოეტანათ შუა ალაგზე და ამ საშუალებით მიეცათ ღონისძიება ხალხისთვის, ერთნაირად ესარგებლა სასამართლოებით. მაგრამ დღემდის ეს საქმე, როგორც მოგვხსენებთ, ისევ თავის ძველ კალაპოტშია. დღეს კიდევ აღუდგენიათ ამ საგანზედ ბასი

ქვემო რაჭელებს; ეს ახალი საქმის და მეცადინეობის დაწყება გამოუწვევია იმ ხმას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში გავრცელდა ჩვენში: როგორც ამბობენ, იუსტიციის მინისტრს კითხვა მიუცია თბილისის სამოსამართლო პალატის თავს-მჯდომარისათვის შესახებ იმისა, თუ რამდენი თანაშემწეა აუცილებელად საჭირო რომ მოემატოს ძაფასოშიო. ამ ხმას გამოუწვევია შემოხსენებული საზოგადოება სა-მოქმედოდ; შეუტანიათ თხოვნა პალატის თავს-მჯდომარესთან, რომ მას ე. ი. ქვემო ნაწილს რაჭისას მოსცენ განყოფილება მომრიგებელ სასამართლოსი და ეს უკანასკნელი დააფუძნონ სოფ. ბუგეულში. რა შედეგი ექნება ამ თხოვნას, გაუღიმებს ბელი ქვემო-რაჭელებს, მიღებულ იქნება მათი თხოვნა, თუ ესეც იმ გზას დაადგება, რა გზასაც ამის წინანდელი თხოვნე ბი დაადგენ, — ამ საგანზედ ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, ვერას ვიტყვი, მხოლოდ ეს კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაშიაც ამოუყვიათ თავი იმ კერძო პიროვნულ ანგარიშების მიმდევარ პირობა, რომელთაც უნდათ სასამართლოები და სხვა საერო დაწესებულებანი განხადონ მათთვის შემოსავლიან ალაგად. მს უკანასკნელნი სცდილობენ თურმე, თუ მთავრობამ შეიწყნარა წარდგენილი თხოვნა, იმ შემთხვევაში განყოფილება სასამართლოსი დაარსდეს ს. ამბრალაურში და არა ბუგეულში! აქ პირადი ინტერესები მომქმედი პირობისა მით უფრო აშკარად იხატება, რომ ამბრალაურში წარმოადგენს შუა ალაგს მთელის მაზრისას და არა ქვემო-რაჭისას. ამბრალაურში მაშინ უნდა დაარსებულყო სასამართლო, თუ მინილამ იქნებოდა გადმოტანილი, და თუ განყოფილება მისცეს რაჭის მაზრას, მაშინ ამბრალაურში დაფუძნება, კუთაში მოსასულელი არ არის, რადგანაც ქვემო-რაჭისათვის ისე განაკიდე კუთხეა სოფ. ამბრალაური, როგორც მთელის მაზრისა და მნი. მაგრამ ენახოთ ვინ გაიტანს ლელოს, კერძო პირადი სარგებლობის მიმდევარი, რომელსაც ყოველს წამში თავის გაუმადლარი ჯიბისკენ უჭირავს თვალი, თუ საზოგადო ინტერესების და კმაყოფილების მიმდევარნი.

მართობ ცუდი დრო დაუდგა ჩვენს ეკლესიებს, რამდენი დრო გადის იმდენი უფრო და უფრო ვრცელდება და იმოს ძალას მის წინააღმდეგ მიმართული ბოროტ-მოქმედება: უღმერთო ავაზაკნი ესმინან თავსა, სტებენ, ჰგლეჯენ და სცარცვენ ჩვენს წმინდა ტაძრებსა და გამოაქვთ სხვას გარდა თვით წმინდა ჰურტლები, წმიდა-წმიდათა შესწირაენი და მიაქვთ გასასყიდლად ძირსტეს სჯულის მოწინააღმდეგე ხალხში (ურბებში); ძვირად შეხედებით ისეთს ნომერს ვაზეთისას რომ ამ სამწუხარო მოვლენაზედ არა იყოს-რა თქმული. როდესაც ამ ნაირი ზნეობის დამცემი და სარწმუნოების შემაკრველი ბოროტ-მოქმედება მოიკიდებს ფეხს ხალხში, მაშინ სახტიკი



ზომები უნდა იქმნას მის წინააღმდეგ მიღებული, რომ როგორც აღმოჩნდება. ჩვენ მართალი უნდა ვსთქვათ, ამ შემადარწუნებელის სენის მოსასპობელად ერთობ სუსტ ღონის ძიებება ეხმარებოდა, და აი ერთი მაგალითი ამისი: წარსულის წლის „დროების“ მე-246 №-ში აწერილია სოფ. ნინო წმიდის ეკლესიის გასარცვა, საიდანაც გაუტანიათ ავაჯაკებს სახარება, ჯვარი, ბარძიმ-ფეშხუმი, კამარა, კიდევ ბარძიმ ფეშხუმი მეორე წყვილი, სასეფისკრე კოვჩები, ერთი სიტყვით მთელი სამკაული ეკლესიის!!! მკლესიის გამცარცველი მეორე ღღესეე უნახავთ, მაგრამ, რა გამოვიდა, ის თურმე თავისუფლად დაბრძანდებია!!! აი, ამ გვარი მაგალითები აერცვლებს ზემოხსენებულს ბაროტე-მოქმედებას; პირდაპირ ის გარემოება, რომ დამნაშავე თავის დროზე და ღირსეულად ვერ ისჯება, აერცვლებს ჩვენში ყოველ გვარ ბაროტებას. მართს გენერალს ჰკითხეს თურმე, თუ რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ყოველგან იმარჯვენებს, და მან უპასუხა: „იმას, ჩემო ბატონებო, რომ ყველგან ჩემს წინააღმდეგ მომართული ძალა სუსტად და, დაუფიქრებლად მომქმედობს“; სწორედ ესევე ითქმის ამ შემთხვევაშიაც. ღრია, ჯეროვანი ზომები იქმნას ხმარებული ზემოხსენებული ბაროტების წინააღმდეგ და დატული ჩვენი ეკლესიები მტარვალების ხელთაგან.

ქაიხოსრო გელოვანი.

დ. მარპირი, თბილისის 5-ს. მარპირელები დიდს ხნით შეჩვეულნი ვიყავით ტალახში სიარულს. უგზოობის გამო სულ ტალახსა ვწვდით და პატრონი არავინ გავიჩინა, მაგრამ ეხლა ამ ქირისაგან დროებით ბუნებამ გვიხსნა: იანვარში ერთი ცვარი წვიმა, როგორც იტყვიან, არ ჩამოვარდნილა და თოვლი წელს ხომ თვალითაც არ გვიანახეს. ამას დაერთო აღმოსავლეთის (ზენა) ქარი და იანვრის გასვლამდის მოუსვენრად ჰქროდა. მართალია, ტალახიანი გზები ქვით ფენილს გზატკეცილს დაამგვანა, მაგრამ ბევრი ზარალიც ქმნა: ს. შყვიშეს ერთ მდელქნეს ღამით გასჩენოდა ცეცხლი; დაეჭროლა ზენა ქარს, გადაეყარა დასავლეთისკენ ნაპერწკლები და სამი მოსახლე კაცი სულ ერთიანად გადაებუტა. ამავე ქარიანობაზე, იანვარში, ს. საჩინოს ორი ყმაწვილი დამწვარიყო ფურნეში; იანვარშივე ს. ნოლას დაიწვა ერთი ქალი: გამსყდარ ლამპის ცეცხლი კაბაზედ მოსდებოდა საწყალს, გამოვარდნილიყო საჩქაროდ კარზედ, დაეჭროლა ქარს და საცოდავი ერთ წამში შექმნილიყო მსხვერპლი ცეცხლისა...

ჩვენში ამდენხანს სწეულება არა იყო-რა, ახლა კი ორი „ბატონები“ ერთად გვესტუმრა. შვეილიც გაჩნდა და წითელაც; ექიმი კი ჩვენში ერთობ ძვირობს. ამათ როლს აქ დღე-

ცაცები თამაშობენ, ესენი „ბატონების მობოლიშებაში“ დახელოვნებულნი არიან. ბარ-საჯაოხოს ეკლესიასთან იქაურმა მღვდელმა სოფლის თანხმობით და ყოვლად სამღვდლო ბაბრიელის ნება-რთვით გახსნა სამრევლო სკოლა დეკემბერში და ამავე თვეში ოცამდი შავირდი შეგროვდა და იანვარშიც ათი მოემატა, მაგრამ ახლა სკოლაში თერამეტი ჰაეშის მეტი არ დადის. დანარჩენები ყველა წითელ ბატონებმა მიაწინა და ერთი შავირდი კიდევ იმსხვერპლა. მანსაკუთრებით ძლიერ „მოეფინა“ ბარ-საჯაოხოში. ღონისძიება ჯერ არა არის-რა მიღებული და არც გავიჩინა ექიმი, რომ შეეწავლა მიეცა ავად-მყოფთათვის.

მეზაფერს სანუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი ეკლესია. ხეირიანად არც დახურულია, არც იატაკი აქვს, არც მხატვრობა და კედლებშიაც ქარი თავისუფლად დაჰქრის. ჩვენი მღვდელი ძლიერ მოწადინებულია, რომ იატაკი მაინც გაუყეთოს ეკლესიას და მტვერში არ ისერებოდნ მლოცველები „მეტანის“ დროს, მაგრამ ამ საქმისთვის ჯერ მარტო ოც-და-ათი მანათის მეტი ვერ შეგროვდა. მრევლი-კი აი-მედებს და ჰპირდება ფულის შეკრებას, მაგრამ მარტო იმედი და დაპირება ეკლესიას იატაკს ვერ დაუფენს. ეს გარემოება მით უფრო ძნელი ასახსნელია, რომ აქაურს მრევლზე ვერვინ იტყვის შეძლებას მოკლებულიაო.

მთებრვალე კარგი ღირებით დაღვა. მარი, როგორც იყო, ჩაღვა და გაზაფხულის დღეებს წააგავს თებერვლის დღეები.

....რქელი.

სიღნაღი, ანგვას 31-ს. დიდს ამბით მოიხსენია სომეხთა საზოგადოებაში ერთი შესანიშნავი და გამოჩენილი გმირი მართან მამიკონიანი, რომლის ღვაწლს მართლა და დიდად პატივსაც სცემს სიღნაღის სომხის საზოგადოება. წირვის გამოსვლამდე ეკლესიაში შავ ლენტებიან სანთლებს გაჰქონდათ ბრიალი; შემდეგ წირვის გამოსვლისა წარმოითქვა სომხურს ენაზე პატარა ქალების და ვაჟებისაგან მრავალი სხვა-და-სხვა სიტყვები, ნამეტნავად გამოისმოდა ხმა ერთის ქალისა, რომელიც თითქმის ცრემლითა სთხოვდა საზოგადოებას: „გამეტვთ თითო-ორჯოლა გროში და ნუ მოგვისპობთ სწავლასაო“. მართლა და გრძობიერად წაიკითხა ნუბაროვის 7-8 წლის ქალმა ერთი მოსაწონი ლექსი, რომლითაც თითქმის მასხარად იგდებდა დიდრონ ღვინა ვაჟბატონებს, თუ როგორ შეეჭკვევიან სხვა-და-სხვა მდიდარ და ნოყიერ საქმელებს და სასწავლებლებს-კი მხარს უქცევენ. ამავე დროს ბ. დ. ტერ-სტეპანოვის ლოტბარობით პატარა ყმაწვილებმა იმღერეს სხვა-და-სხვა პატრიოტული ლექსები.

ეს ამბავი მოხდა სომხის ქალების და ვაჟების სკოლის ერთ პატარა-ზალაში, რომლის კედლებზედაც სხვა-

და-სხვა სურათები ეკიდა, და მათ შორას მართან მამიკონიანის სურათიც, რომელიც ყვეალებით იყო შემკული. იგი ხმალ-ამოღებული დგას და მრავალ ხალხს მტრისკენ იწვევს.

ამ ცერემონიაზე საზოგადოება ბლომად დაესწრო, მაგრამ შარშანდღეზე-კი უფრო ბევრად მცირე. დასრულდა ეს ცერემონია ბ. შმიკიანის შემდეგის სიტყვით:

„ბატონებო! შეიბრალეთ თქვენი უსუსური ბავშვები, გაუღეთ სწავლის კარები და მიეცით სწავლის საშუალება, გააშვებეთ თქვენი სკოლა, თორემ იქცევა, წვეთი ჩამოდის, საშინელი ნამია, რომლისაგან თქვენს შვილებს გული უფუტდება! მხლა არაფერს ამჩნევთ, მაგრამ ბოლოს-კი თავს იჩენს თქვენს შვილებზე ქლეკის სენი!“ დასასრულ ბ. შმიკიანცმა სთხოვა საზოგადოებას შეეწირათ სკოლისათვის ბანკის გასახსნელად შეგროვილი ფული, მკანი 5000 მან.; ამაზე საზოგადოებას ხმა არ ამოუღია სკოლაში და გარეთ-კი ბევრმა უარი განაცხადა.

ეს სკოლა ინახება წმინდა სანთლის და ზოგიერთა შემოაწირვების ფულით. მართლა რომ ეს სკოლა ექნა არა სანატრელს მდგომარეობაშია, მაგრამ ბანკისათვის მოგროვილი ფული არ შეიძლება სულ ამ სკოლას მოხმარდეს, რადგანაც, ეს ფული მარტო იმათ არ ეკუთვნისთ, რომელთ შვილებიც ამ სკოლაში სწავლობენ.

ერთი დამსწრე ქართული.

რუსეთი

ბასულის იანვრის 30 დიდი ცეცხლი იყო პეტერბურგში. დაიწვა მესამე სართული საქალაქო პრედიტის საზოგადოების სახლისა. ცეცხლის მქრობის რაზმის მეცადინეობით ცეცხლი ვერ გაძლიერდა და გადარჩა მთელი არხივია, სხვა-და-სხვა ძვირფასი საბუთები და ფული საზოგადოებისა; ეს ყველაფერი მეორე სართულში ინახება. ზედამხედველი კომიტეტის საქმეებისაგან ბევრი დამწვარა, რადგან ესენი მესამე სართულში ინახებოდნ. ცეცხლის ამბავი ერთს წამში მოედდა მთელს ქალაქს და აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავიო. ცეცხლზე დაესწრო იუსტიციის მინისტრი ნაბოკოვი, რომელმაც მოახდინა ვანკარგულება გამოძიების მოხდენისა. ჯერ-ჯერობით დაჭერილია ერთი მეგავზე, რომელსაც ბრალდება ცეცხლის გაჩენა.

მდესის ქალაქის რჩევა შუამდგომლობს საექიმო ჭაკულტეტის დაარსებას ნოვოროსისის უნივერსიტეტში. ეს საგანი ამ ეჟამდ უკვე ირჩევა განათლების სამინისტროში შინაგან საქმეთა მინისტრის დასწრებით. რადგან ამ საგნისათვის დიდი ხარჯია სა-

ქირო, ქალაქი ჰკისრულობს შემწეობის აღმოჩენას.

შველა სარკინის-გზო საქმენი, რომელიც დღემდის გზის სამინისტროს ხელში იყენენ, ამიერიდამ გადაეცენ ცალკე დაწესებულების — უმთავრეს სარკინის-გზო რჩევის გამგეობის ქვეშე. რჩევას შეადგენენ ერობისაგან, სავაჭრო-მწარმოებლობითის დაწესებულებათაგან ამორჩეულნი პირნი, რომელთა ინტერესები ძლიერ ახლოდ ეხებიან რკინის-გზების მოქმედებას. თავს-მჯდომარედ რჩევისა უნდა იქმნესო მზათა მინისტრი, ვიცეთავს მჯდომარედ — ამის თანაშემწე-რჩევის წევრებად, პირველს ძატეგორიაში, დანინებნიან: თანაშემწენი მინისტრებისა: შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მონებათა, შინანსთა, იუსტიციისა და სხვ. — სულ მმართველობისაგან იქნება 15 წევრი. მეორე კატეგორიაში აირჩევიან: ათი წევრი რკინის-გზების საზოგადოებათაგან, ხუთი — საგუბერნიო ერობათაგან, სამი — ვაჭრობისა და მრეწველობის რჩევისგან, ერთი — ქვა-ნახშირის მწარმოებელთაგან და ერთიც — სამთო ქარხნების მწარმოებელთაგან. სულ ამორჩეული წევრები რიცხვით 21 იქმნებიან და ერთად-კი უმაღლესი რჩევა შესდგება 38 წევრთაგან. რჩევა წელიწადში ორჯერ შეიკრიბება ხოლმე, თუ შემთხვევა არ გამოიწვევს არა-ჩვეულებრივის კრების მოხდენას, რის ნებაც ყოველთვის ექმნება თავს-მჯდომარეს.

შვიდა ნინოს საქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ გამართული წარმოდგენის შესახებ.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბუქლად, ორშაბათს, იანვრის 28-ს გამართულის წარმოდგენის ანგარიში, რომელსაც მით უფრო სიამოვნებითა ვბუქლავთ, რომ ზოგიერთა ხარჯი ამ წარმოდგენისა საზოგადოების ყურადღების მიქცევის ღირსად მიგვაჩნია.

შემოსავალი:

ბილეთები იყო გასყიდული	597 მ. 50 კ.
სხვა-და-სხვა პირებისაგან ბილეთების ფასებზედ მეტი გამოგზავნილი	57 მ. ,, ,,
სულ შესდგა	654 მ. 50 კ.
ხარჯი:	
თეატრის ქირა	300 მ. (11)
თეატრის მმართველისაგან ღირებთ სასარგებლოდ (?) აღებულ იქმნა	22 მ. ,, ,,
მანისამოსების ქირაობა რუსულს წარმოდგენაზედ მონაწილეობის მიმღებთაგან	16 მ. ,, ,,
მართულის თეატრის რევიზიტორის ცალკე ნუსხით	13 მ. ,, ,,



მეზურნეებს 6 მ. ,, ,,
 აფიშები და მათი გაცერა,
 პროგრამები, ბენგალის
 ცეცხლი, ხალიჩებისა,
 იარაღისა და ნივთების
 ქირაობა ცხოველი სუ-
 რათებისთვის და სხვა
 წერილობანი ხარჯი. . . 33 მ. ,, ,,

სულ შესღება 390 მ. ,, ,,
 ეს ფული რომ გამოვიდეთ სრულ-
 ლის შემოსავლიდან, წმინდა დაწი-
 ბა 264 მან. 50. კაპ.

როგორც ჩვენს მხრით, აგრეთვე
 იმ მოწაფე ქალების მხრივ, რომელთ
 სასარგებლოდაც ხსენებული წარმოდ-
 გენა იყო გამართული, არ შეგვიძ-
 ლიან მალეობა არ ვუძღვნათ ამ წარ-
 მოდგენის მოთავეს კენიან ბარბარე
 ბარათაშვილისას. ამ გვარი ქველ-
 მოქმედება მათი პირველი არ არის
 და, უეჭველია, არც უკანასკნელი იქ-
 ნება, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლიან
 საზოგადოების ყურადღება არ მივაქ-
 ციოთ ბ. შითოევის (თეატრის ან
 ტრეპერნიორის) საქციელს, რომე-
 ლიც თავის მდგომარეობით სარგებ-
 ლობს და თეატრის ქირას, მაშინაც-
 კი, როდესაც წარმოდგენა საქველო
 განზრახვით იმართება, — 300 მანა-
 თობით ღებულაბს.

ბ. რუსულის თეატრის ანტრეპრე-
 ნიორს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ
 ამ გვარის წარმოდგენიდან გამოგლე-
 ჯილი გროშები დეჭიციტს ვერ შე-
 უნებს და ვერც სულს მოაბრუნებო-
 ნებს. მაგასთანავე არც საზოგადოების
 გულის მოგებას უნდა ერიდებოდეს,
 რადგანაც, ვეტყვით უბრალო ქვეშა-
 რიტებას, მისი მდგომარეობა საზოგა-
 დოების გულ-კეთილობაზედ არის და-
 მოკიდებული და თბილისელებმა-კი
 მიღებაც და გასტუმრებაც ღირსეულად
 იციან. მოიგონოს წინაღული ანტრე-
 პრენიორების მდგომარეობა და ჩვენს
 სიტყვებს აშკარად შეიგნებს.

ცვლევრამები

(„ხრდილაკეთის სააკტესისი“)
 თებერვლის მ-ს
მოსკოვი. სკოპინის საქმის გა-
 მო კასაციური საჩივარი შეიტანა
 18 ბრადდებულმა, მათ შორის
 რიკოვმა; კასაციაზედ უარი სთქვა
 მხოლოდ სამმა, რომელთაც მცი-
 რე ვადით გაგზავნა ჰქონდათ გა-
 დაწვევები. რიკოვი თავის სა-
 ჩივარში უჩვენებს 12 საბუთს კასა-
 ციისას; სხვათა შორის მის გაყვა-
 ნას სასამართლოს ზადიდაძ.

პაშტი. ვაჭრობის მინისტრმა
 გამოაცხადა, დეკრეტითა ჰადა-
 ტაში, რომ რაკი გერმანია და
 საფრანგეთი ადიდებენ სატამოქრო-
 ბაქს, ვენგრიამაც უნდა მფარვე-
 ლობა გაუწიოს თავის ნაწარმოებს
 მეზობლად მდებარე სახელმწი-
 ფოთა წინააღმდეგ.

ბარლინი. რეისტრატმა საბოლო-
 თად გადასწავილა მფარველობითი
 კანონი ბაჟის შესახებ. ასკილო-
 გრამ სიმინდზედ ბაჟი 50 ფენინ-
 გი დანიშნა.

ლონდონი. გუმინ კვალად გა-
 ისხნა შემოდგომაზედ შეჩერებული
 სესია პარლამენტისა. გრანვილმა
 გამოაცხადა ღორდთა ჰადატაში,
 რომ ეგვიპტის საჭინანსო საქმე
 ეგვიპტისა და ინგლისის სასარ-
 გებლოდ არ გადასწავილია; ინგ-
 ლისის პოლიტიკა სედანის შესა-
 ხებ იგივე რჩება და უკან დაწვა
 შეეძლებელია; უედსლივის მიე-
 ცა ნება სრულიად თავისუფლად
 იმოქმედოს, მაგრამ ჰეტიკრობენ,
 რომ ხართუმზედ ნოემბერზე ად-
 რე ვერ გაიდაშქრებნო. საზო-
 გადობათა ჰადატაში ჰარტინგ-
 ტონმა სთქვა: ინგლისის მოწინა-
 ვე რაზმი მერავისკენ დაწვას
 აპირებს, რომ უმთავრეს ღამ-
 ქარს შეეერთდეს. ნორდსკოტმა
 გამოაცხადა: წინადადებას შემოვი-
 ტან, რომ გამოირკვეს — რა ჰასუ-
 ნი უნდა გვიგოს მთავრობამ შესა-
 ხებ ენერგიულის ზომათა მიღები-
 სა, რომლებითაც წესიერება უნდა
 დამკვიდრდეს ეგვიპტეში და ეგ-
 ვიპტისათვის საჭირო სუდანის ნა-
 წილებში.

**წინაბანი
 მაზანდა**

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-
 ლისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელ-
 დახელ 1 თებერვლიდან 1 მარტამ-
 დე 1885 წ.

გამომცხარა შური რუ- სეთის ფეკილისა —	— 1	გ. 5 გ.
აჭურის ფეკილისა: შიჩ- გელის ხარისხისა —	— 1	ბ. 2 1/2
მეორისა —	— 1	ბ. 2 გ.
იმაკე ფეკილ. თორნეში გამომცხარა:		
შირკელი ხარისხის —	— 1	ბ. 4 1/2
მეორისა —	— 1	ბ. 3 გ.
მესამისა —	— 1	ბ. 2 1/2
ჟვარის-მამი შური:		
შირკელი ხარის. ღაგში 1	ბ.	4 1/2
მეორის ხარის. ღაგში 1	ბ.	3 1/2
მესამისა —	— 1	ბ. 3 გ.
ძრახის ხარის:		
შირკელის ხარისხის —	— 1	ბ. 8 გ.
მეორისა —	— 1	ბ. 7 გ.
სუკი	— 1	ბ. 15 გ.
ცხარის ხარისი —	— 1	ბ. 8 გ.
ღორის ხარის:		
შირკელის ხარისხის —	— 1	ბ. 8 გ.
მეორისა —	— 1	ბ. 7 გ.

განცხადებანი

UN FRANÇAIS
 Professeur de langue et de li-
 tterature française desire don-
 ner des leçons.
 S'adresser: Librairie Boerenstamm
 (10 - 9)

ბ. თბილისის ლუბერატორის ნების მიცემით დაწესდა ცნობების შესატ-
 ყობი კანტორა, რომელმაც გიროთ ფული შეიტანა.

მ. ი. სერგეევი

თბილისი, გაღოკინის ჰრასპექტი № 7.

ქანტორა მიიღებს, როგორც თბილისში მყოფთათვის, ისე გარეშე მცხოვ-
 რებთათვის შემდეგ მზრუნველობას და შუამალობას:

- 1) შეტყობებს ყოველ-გვარ ცნობებს, შეადგენს საქმის ქალაღებს, არ-
 ზებს სასამართლოებში, სასწავლებლებში და კერძო პირებთან მისაცემს; შეტყ-
 რებს ცნობებს სასამართლოებში, როდის ვისი საქმე ინიშნება გასარჩევათა,
 რითი გადასწყდა, როდის ვადის ვადა აწვლიცის და კასაციის არხის მიცემისა
 და სხვა.
- 2) აცნობებს ღედ-მამებს ანუ ავეყურებს ყოველ წესდებულებასა ყმაწ-
 ვილების სასწავლებელში მისაცემად; შეატყობინებს რომელ სასწავლებელში
 რამდენი სახელმწიფო ადგილია (ვაკანსია) ყმაწვილისა, შეატყობინებს ღედ-
 მამებს და ავეყურებსა როგორ სწავლობენ, ანუ როგორი ყოფა-ქცევისა
 არიან მათი ყმაწვილები; გადავლენ მათი ყმაწვილები შემდეგს კლასში თუ
 არა, კარგა ინახენ სახლის პატრონები ყმაწვილებსა, თუ არა; აურჩევს მათ-
 ვე პატიოსანს და გამოკდილ მასწავლებლებსა, კარგ სადგომებსა გუვერნიო-
 რებს და გუვერანკებს (აღმზრდებებს) და სხვ.
- 3) შეატყობინებს მსურველთა ნამდვილ მახანდებს (ფასებს) როგორც
 სოფლის ნამუშავერისას, ისე ყოველ გვარ საქონლისა და სავაჭროსას.
- 4) შეჩვენებს თბილისში მცხოვრებთა ყოველ-გვარ გასაქირავებელ სახ-
 ლებსა და დროებით მოსულთ თბილისში — იეუსა და წმინდა სადგომებსა
 (ნომრებსა სასტუმროებში), ანუ სახლებს მოკლე დროთი გასაქირავებელსა.

ზანმარტებული გამოცხადება ამა კანტორის დაწესებისა დაიბეჭდა გან-
 საკუთრებით რუსულ ენაზედ მთელს რუსეთის სახელმწიფოში გასავრცელებ-
 ლათა. ჭართულ ენაზედ ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება მთელი საქართველს-
 თვისა.

თბილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ ყოველთავე ცნობები მოით-
 ნოვონ კანტორიდანა მიწერ მოწერითა. კანტორა ყოველ ღონის ძეგბას მოიხ-
 მარს ყოველი თხარება ადარჯელს პატიოსანთ, მადე და იეფადა. (1—1)

გაქიღვა 5% სახალაფიფო მოგზავი ბილეთებისა
 ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ბილეთები იყიდება ს. პეტერბურგის ბირჟის ოფიციალურ ფასად; ყიდ-
 ვის დროს უნდა შემოტანილ იქმნას 20 მან. ბილეთზე, დაწარინი ფული-
 კი უნდა შემოიტანოს მყიდველმა თვე-და-თვე, როგორც თითონ განსაზ-
 ღერავს — თითო თუმნობით, თუ ხუთხუთ მანათობით. მადაზე შემოსატანი
 გადასახანის ღამგვიანებელს ეძლევა კიდევ 30 ღდე საშელავათოდ. ზეის მი-
 ტემის დღიდან ყოველთავე მოგება, რომელიც ხეგება ხაყადს ბილეთს, სრულად
 ეკუთვნის მყიდველს. კანტორის სასარგებლოდ აზაფერი არ გამოკრიტება მომ-
 გებს. ბილეთის მყიდველს ეკუთვნის აგრეთვე ყოველთავე მოსალოდნელი სა-
 კურსო ფასის მომატება ბილეთზე. მოგების ტირაჟი არის ხოლმე: პირველი
 სესხის ბილეთებისა — იანერის 2-ს და იელისის 1-ს; მეორე სესხის ბილეთე-
 ბისა მარტის 1-ს და ენკენისთვის 1-ს ყოველწლივ შემდეგის პლანით: ერ-
 თი მოგება არის 200,000 მანათიანი, ერთი 75,000 მან., ერთი
 40,000 მანათიანი, ერთი 25,000 მანათიანი, სამი 10,000 მან., ხუთი
 8,000 მან. რვა 5,000 მან. ოცი 1000 მან. და ორას სამოცი 500 მანათი-
 ნი. მომგები ბილეთის დაწვევა რომ ტირაჟში არ გამოვიდეს ღირს — ათი შაური
 ბილეთზე. აზანდი ს. პეტერბურგის ბანკირის ძ. ა. კლიმის კანტორისა:
 ი. კ. საულილი ბათუმში.

მეგობრ-ხსენებული კანტორა ამით ამოწმებს, რომ აგენტი ი. კ. საუ-
 ლილს

მინდობილი აქვს ჰყილოს კანტორის სახელით ხეცერი ფულის დაცალებით
 5% სახელმწიფო მოგები ბილეთები ორთავე სესხისა, აგრეთვე მიიღოს
 ისინი დასაზღვევად ტირაჟში გამოსვლიდან, თანაზმად კანტორისაგან მიცემულის
 ვეკილობისა.

ზანკირის კანტორა ძ. ა. კლიმისა ს. პეტერბურგში.
 (10—2)